811.161.1
ბ20

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მარიანა ბალასანიანი

სინონიმის სემიოტიკური ასპექტი (ბგერადობის აღმნიშვნელ ზმნათა მასალაზე მიხაილ ბულგაკოვის ნაწარმოებებში)

10.02.03 – სლავური ენები

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2006

ნაშრომი შესრულებულია ს.-ს. ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **შოთა სამუშია**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: **1. ნათელა ჭოხონელიძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, სრული პროფესორი 10.02.03

2. მაკა კაჭარავა
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, ასოც. პროფესორი 10.02.03

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის 1/XII 13⁰⁰ საათზე 103 აუდიტორიაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 10.02 №6 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0128, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 1

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

მისამართი: 0147, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2

ავტორეფერატი დაგზავნილია 2006 წლის 1/XI

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი თ. კიკაჩეიშვილი

2127

ნაშრომის ზოგადი დახასიათება.

სემიოტიკა ჩამოყალიბდა როგორც XX ს-ის ერთ-ერთი დისციპლინათაშორისი მეცნიერება,თუმცა მას ჯერ კიდევ XIX ს. საფუძველი ჩაუყარა ჩარლზ პირსმა, რომელსაც ეკუთვნის ტერმინი "სემიოტიკა"-ც. ლინგვისტური განხრა სემიოტიკამ მიიღო სტრუქტურული ლინგვისტიკის დამაარსებლის ფერდინანდ დე სოსიურის და დანიური ლინგვისტური სტრუქტურალიზმის ფუძემდებლის ლუი ელმსლევის გავლენით. გარკვეული გავლენა სემიოტიკის განვითარებაზე მოახდინა ჩარლზ მორისის ფილოსოფიურმა შეხედულებებმა. რუსულ ენათმეცნიერებაში ლინგვისტური სემიოტიკის განვითარება უკავშირდება ვ. ივანოვის, ი. სტეპანოვის, ი. რევზინის, ო. რევზინას და სხვ. სახელებს, მაგრამ გადაუწყვეტელი რჩება მთელი რიგი პრობლემა, მათ შორის რუსული ენის ლექსიკის სემიოტიკური აღწერა, ლექსიკურ ერთეულთა ურთიერთკავშირი და მათი დამოკიდებულება არაენობრივ სინამდვილესთან. ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი ნიშნის, როგორც ენის სემიოტიკის შესწავლის ობიექტის, მისი სიტყვასთან და ცნებასთან მიმართების პრობლემა. ერთ-ერთ პრობლემას, რომლის გადაჭრაც ხელს შეუწყობს ენის სემიოტიკურ აღწერას ლექსიკაში პარადიგმატული კავშირების დონეზე, წარმოადგენს ლექსიკური სინონიმიის სემიოტიკური კვლევა.

<u>პრობლემის აქტუალობა</u>. ლექსიკურ ერთეულთა სინონიმური კავშირის პრობლემა სემიოტიკის პოზიციიდან მხოლოდ დასახულია ცალკეულ მკვლევართა მიერ (ე. კუბრიაკოვა, ზ. პოპოვა), მაგრამ სინონიმთა კლასიფიკაცია, სინონიმიის საზღვრები, სინონიმურ წყვილთა და მწკრივთა წარმოქმნის მექანიზმი სემიოტიკის დარგში მომუშავე რუს მეცნიერთა მიერ ბოლომდე გამოკვლეული არ არის. უნდა აღინიშნოს მხოლოდ ი. სტეპანოვის მუშაობა ამ მიმართულებით, ამიტომ სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემა აქტუალურია. ბგერადობის აღმნიშვნელ ზმნათა ჯგუფი შეიძლება გახდეს სინონიმიის კვლევის ობიექტი სემიოტიკის პოზიციიდან, სინონიმურ კავშირთა სისტემაში ამა თუ იმ ლექსემის ზუსტი ადგილის დადგენის საწყის წერტილად. კვლევის სემიოტიკური ასპექტი თუნდაც სიტყვათა შედარებით მცირე ჯგუფის მასალაზე ჩვენ მიგვაჩნია აქტუალურად.

<u>გამოკვლევის ობიექტი.</u> ნაშრომში ანალიზი გაუკეთდა 153 ზმნას, მათ შორის წამყვანი, ბგერადობის აღმნიშვნელი ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტი ძირითადია 104 ზმნაში, ხოლო მეორადი ნომინატიური და [illegible] 49 ზმნაში, რომლებიც შედის სხვადასხვა ლექსიკურ-სემანტიკურ [illegible] და არეში. ბგერადობა – პროცესია, რომელიც ყველაზე [illegible] ზმნათა სემანტიკაში. კვლევის ძირითად ობიექტად არ [illegible] ბგერადობის აღმნიშვნელი უპრეფიქსო ზმნები, რომელთა სემანტიკა [illegible] დერივაციულ მნიშვნელობას. ჩვენს მიერ შედგენილია ბგერადობის [illegible]

ILIA CHAVCHAVADZE STATE UNIVERSITY * ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიბლიოთეკა
დარგობრივი